



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 3471
19/07/2019

ზუგდიდი

3471-02-4-201907191801



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 8 ივლისის N3204 ბრძანებაში „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 8 ივლისის N3204 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ N1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
3. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას (კ. მოსიძე) და ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას (ი. ამანათიძე) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
4. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (მ. თოდუა) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა

N	განსახორციელებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადა	პასუხისმგებელი პირი
1	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2019 წლის 26 ივლისისა	<ul style="list-style-type: none"> • ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; • მერის მოადგილე; • ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; • ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი; • იურიდიული განყოფილების უფროსი;
2	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის მომზადება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/სამსახურების დებულებების პროექტების მომზადება;	არაუგვიანეს 2019 წლის 26 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება;
3	საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2019 წლის 6 აგვისტოსა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
4	საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტის მომზადება;	არაუგვიანეს 2019 წლის 6 აგვისტოსა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
5	„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის წარდგენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად;	არაუგვიანეს 2019 წლის 26 ივლისისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
6	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობების შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების-ბრძანებების პროექტების მომზადება და გამოცემა;	არაუგვიანეს 2019 წლის 12 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
7	რეორგანიზაციის გამო თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა;	არაუგვიანეს 2019 წლის 6 აგვისტოსა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

8	თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მოხელეთა გაფრთხილების უზრუნველყოფა;	არაუგვიანეს 2019 წლის 12 აგვისტოსა	ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება;
9	მობილობის პროცესის უზრუნველყოფა;	არაუგვიანეს 2019 წლის 12 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
10	მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში შტატების შემცირების გამო მოხელეთა გათავისუფლება და რეზერვში ჩარიცხვა.	არაუგვიანეს 2019 წლის 12 სექტემბრისა	ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;